

საქართველოს კანონი
„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე”

მუხლი 1. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30, 27.07.2006, მუხ. 235) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 18-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“7. თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დაასკვნის, რომ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კრიტერიუმები და არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება აუცილებელია, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით მიმართავს სასამართლოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ შესაბამისი ბრძანების გამოცემის მოთხოვნით პირის სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პაციენტს, მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ასეთის არარსებობისას – ნათესავს; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ეცნობება შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას.”.

2. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**“მუხლი 22. ფსიქიატრიული დახმარება სისხლის სამართლის საქმეზე
სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე**

1. თუ პაციენტს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება უტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 499-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი მდგომარეობის შესახებ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია სამ თვეში ერთხელ შესაბამის სასამართლოს აწვდის წერილობით დასკვნას არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხზე. ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის ასლი ეგზავნება პროკურორს.

2. თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნით მიზანშეუწონლად ჩაითვლება ფსიქიატრიული დახმარების გაგრძელება, შეწყვეტა ან/და აუცილებელია ფსიქიატრიული დახმარების სახის შეცვლა, სასამართლო უფლებამოსილია ხეირი მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება პაციენტის მიმართ ფსიქიატრიული დახმარების შეწყვეტის, გაგრძელების ან ფსიქიატრიული დახმარების სახის შეცვლის შესახებ.

3. თუ პაციენტს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება უტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 396¹ მუხლის საფუძველზე და ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეწყვეტას. ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის ასლი ეგზავნება პროკურორს.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 23¹ მუხლი:

“მუხლი 23¹ სასამართლო განსჯადობა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების საკითხის განხილვისას.

1. ამ კანონის მე-18 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 396¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს

სასამართლო პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 499-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არ გასულა მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადა, საკითხს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე განიხილავს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადის ამოწურვისას, საკითხს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე განიხილავს სასამართლო პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

4. იმ შემთხვევაში თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხ მდგომარეობაში იყო და სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეწყვიტა სისხლისსამართლებრივ დევნა და გამოიყენა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიება, შემდგომში საკითხს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის დასრულების თაობაზე განიხილავს სასამართლო პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.”.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი